ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7112593

ნომერი: AR11044004

თარიღი : 01.07.2024

გაცემის თარიღი : 03.07.2024

გაცნობის თარიღი : 03.07.2024

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სანდრო ეული , N 3 , (ნაკვ.07/059) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა სანდრო ეული , N 3 , (ნაკვ.07/049);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარ სულავა პ/ნ 01005030742
- თბილისი ფოთის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:
სამსახურის მიერ № 6872987 ბრძანებით არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.05.007.719) შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა .მშენებლობის ორგანიზების პროექტით გენ- გეგმის ნახაზზე გათვალისწინებულია რამოდენიმე დროებითი შენობების გამთავსება მათ შორის დროებითი ადმინისტრაციული შენობის განთავსება(სავარაუდოდ იგივე ადგილზე რა ადგილზეც გეგმავთ საპროექტო შენობის განთავსებას). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურს მისი უფლებამოსილების გათვალისწინებით არ მიაჩნია მიზანშეწონილად აღნიშნული გენ-გეგმისგან დამოუკიდებლად დამატებით კიდე ერთი დროებითი დასნიშნულების ობიექტის მოწყობა მიზანშეწონილად . ასევე გაცნობებთ დამატებით კიდე ერთი დროებითი შენობის განთავსების საჭიროების შემთხვევაში საჭიროა განხორციელდეს მშენებლობის ორგანიზების პროექტში წარმოდგენილი გენ - გეგმის ცვლილება .
ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც რომ სამსახურში AR11036509 განცხადებით მიმდინარეობს საქმის წარმოიება მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით . საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ ცვლილება ასახოთ აღნიშნულ განცხადებაზე ატვირთულ მშენებლობის ორგანიზების პროექტის გენ- გეგმის ნახაზზე .

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი AR11044004 განაცხადის მოთხოვნა

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.